პროექტი PRINTeL

ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული სერტიფიცირებული ტრეინინგი

„ვიდეო, როგორც სწავლების იარაღი მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის“

4-9 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ERASMUS+ პროგრამის PRINTeL პროექტის ფარგლებში ჩატარდა ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული სერტიფიცირებული ტრეინინგ-კურსი „ვიდეო, როგორც სწავლების იარაღი მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის“, რომელსაც უძღვებოდა სტუ-ს ასოცირებული პროფესორი დალი სეხნიაშვილი (საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი).

კურსის შესავალი და პრეზენტაცია სწავლისა და სწავლების პროცესში ვიდეოების გამოყენების შესახებ

ტრენერი დალი სეხნიაშვილი, PRINTeL პროექტის (ევროკავშირის Erasmus+ CBHE პროგრამის დაფინანსებით) ფარგლებში, 2018 წლის 12-16 ნოემბერს პროექტის პარტნიორ პორტოს უნივერსიტეტში (პორტუგალია) დაესწრო TOT - ტრენერთა

დისკუსია საკუთარ ი პრაქტიკული გამოცდილების, საჭიროებისა და მოლოდინის შესახებ

პრაქტიკული მაგალითები და რჩევები ვიდეო

ტრეინინგს "ვიდეო, როგორც სწავლის ინსტრუმენტი პედაგოგებისა და სტუდენტებისთვის“ და გაიარა შესაბამისი გადამზადება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელთა შორის სწავლების ინოვაციური და სრულყოფილი ტექნოლოგიების შესწავლისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, დალი სეხნიაშვილმა ინოვაციური სწავლების თაობაზე (ვიდეო, როგორც სწავლის ინსტრუმენტი პედაგოგებისა და სტუდენტებისთვის) საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩაატარა ხუთდღიანი ტრეინინგი, სულ 10 საათი, 2 საათი ყოველ დღე და 20 საათი ინდივიდუალური მუშაობისთვის (1 კრედიტი ECTS).

დისკუსია - სტუდენტების შთაგონება და ჩართულობა საკლასო სამუშაოებში

5-დღიან ტრეინინგს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 23 ლექტორი დაესწრო 6 სხვადასხვა ფაკულტეტიდან (ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტი, საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი, ტრანსპორტისა და საინჟინრო მექანიკის ფაკულტეტი, ინფორმატიკისა და

მართვის ფაკულტეტი). მონაწილეებს შორის იყვნენ სტუ-ს პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენერები.

ტრენინგის პირველი დღე დაიწყო სწავლებისა და სწავლის პროცესში ვიდეოს გამოყენების შესახებ შესავალითა და პრეზენტაციით. მონაწილეებმა აღიარეს სწავლებისა და სწავლის პროცესში ვიდეოების გამოყენების მნიშვნელობა და გაიგეს სხვადასხვა სიტუაციაში ვიდეოს გამოყენების დამატებითი ღირებულება.



ტრენინგის მონაწილეთა მიერ მომზადებული ვიდეო მასალების პრეზენტაცია

დისკუსიის შემდეგ მსმენელებმა გააკეთეს დასკვნა, რომ არსებობს დამაჯერებელი მტკიცებულებები იმისა, რომ ვიდეომასალას შეუძლია სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფა მათზე ორიენტირებული სწავლის პროცესში: სტუდენტების მოტივაციის გაზრდა, სწავლების გამოცდილების ამაღლება, მაღალი შეფასებები, საგნის უფრო საფუძვლიანად შესწავლისათვის პოტენციალის გაძლიერება, სტუდენტების

დამოუკიდებლობის განვითარება, გუნდური მუშაობის და ურთიერთობის უნარების გაუმჯობესება, თანამშრომელთა განვითარების შესაძლებლობები და სხვა.

ხაზგასმით აღინიშნა ის ფაქტი, რომ სწავლებისა და სწავლის პროცესში ვიდეოს გამოყენება ემსახურება არა მარტო სტუდენტების, არამედ პედაგოგების და მათი საკუთარი ორგანიზაციების ინტერესებს. საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ სრული ავტონომია მოიპოვონ, მოიცვან ფართო აუდიტორია ვიდეოების გამოყენებით. ვიდეოლექციების მეშვეობით შეიძლება მოზიდული და სწავლების პროცესში ჩართულ იქნას პოტენციური, ამჟამინდელი და ყოფილი სტუდენტები.

ტრენინგის დასასრული

მსმენელები გაეცნენ სწავლებისა და სწავლის პროცესში ვიდეოს, როგორც სასწავლო ინსტრუმენტის გამოყენების კონკრეტულ მაგალითებს. აგრეთვე იმას, თუ როგორ

შეიძლება გამოყენებულ იქნას ვიდეო პედაგოგების პრაქტიკულ საქმიანობაში, როგორც კლასში, ისე კლასებს გარეთ. წარედგინათ იმ ინსტრუმენტების მაგალითები, რომელთა გამოყენებაც მასწავლებლებს შეუძლიათ სტუდენტების მოტივაციისა და ჩაერთულობის გაზრდისთვის, სწავლის პროცესის ხარისხის ამღლებისთვის. მსმენელებს მიეცათ კონკრეტული რჩევები ვიდეოს ჩაწერისთვის და განესაზღვრათ სხვადასხვა კონტექსტში ვიდეოს ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობები.

კურსის პროექტზე მუშაობის დაწყებამდე მონაწილეებმა თავიანთი იდეების საფუძველზე განსაზღვრეს ჯგუფები, რომელშიც ისინი იმუშავებდნენ. ცალკეულმა ჯგუფმა დაგეგმვა პროექტის შინაარსი, შემდეგ გადაიღეს სურათები და ვიდეოები საკუთარი პროექტებისთვის და მუშაობდნენ ვიდეოს შექმნისთვის, თითოეულმა ჯგუფმა შექმნა საკუთარი მოკლე ვიდეო.

კურსის დასკვნითი დღე მიეძღვნა მონაწილეების მიერ შექმნილი ვიდეოების პრეზენტაციას და გამოხმაურებებს.

კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

აღნიშნული ტრეინინგები ტარდებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინოვაციების ცენტრის, პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის (რომელიც, თავის მხრივ, PRINTeL პროექტის ინსტიტუციური განვითარების კონტექსტის გათვალისწინებით დაფუძნდა) და სტუ-ს პროფესიული განვითარების ცენტრის თანამშრომლობით.